

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასდვის ცხოვართათვის. იოან. 10 – 11.  
 შოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული. ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15 – 4.  
 მოველით ჩემდა ყოველნი მამურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. მათ. 11 28.

№ 23—24

1883—1897

30 დეკემბერი

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

**სალითერატურო განყოფილება:** იმერეთის საეპარქიო საეკლესიო ნივთების საწყობი. — იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატების კრება ქ. ქუთაისში 17, 18, 19 და 20 ნოემბერს. წერილები რედაქციის მიერ. — ბერს დავითს, ექ. კაჭხიძეს (ლექსი).


**სწავლა და მაცნეობა პრინციპალის საკრძოვროებასა და კეთილ-ზნობაზე:** ხმა მოძღვრისა სამწყსო-სადმი საუბარი XI. — იესო ქრისტეს სახის მნიშვნელობა. — სიტყვა, თქმული მღვ. ი. შავლაძის მიერ ქუთ. საკათედრო სობოროში 26 კვირიაკესა ზედა.

**საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება:** საეკლესიო კითხვების განმარტება — შავი კირი და მისი მოლოდინი. — შეწირულება და განცხადება.

## ინტერესი საეპარქიო სამკალესიო ნივთების საწყობი.

ცხადია ყველასათვის რომ, ჩვენი სამღვდლოების და საზოგადოების ერთს გულითად სურვალს შეადგენს, სხვათა შორის, თავიანთ ეკლესიების შემკობა და გამშენება. რამდენათაც ჩვენი ეკლესიები ძველ დროში აკვირებდნენ მნახველთ თავიანთ შემკობილებით, მორთულობით და ძვირფასი ნივთებით სწორეთ იმოდენათ დღეს აკვირებდნენ მათ თავიანთ სიღარიბით და მოურთველობით.

მიზეზი ამა სამწყსო მოვლენისა, რასაკვირველია, არის სიღარიბე ტაძართა და ხშირად საჭირო ნივთების უმეკონებლობა. ამასთან არ შევიძლია არ შევნიშნოთ, ზოგიერთ ადგილას მაინც, მწყემსთა და სამწყსოთა დაუდევრობა ეკლესიების მორთულობის და განშენების შესახებ. ზოგიერთ ადგილას ისე შეუჩვევიათ თვალთ ძველ ღირებ ეკლესიების მორთულობისათვის, რომ სრულებით აღარ რაცხვენ უმჯობესად მორთულობის საჭიროებას. ერთხელ მიქედელი



ლურსმანი იკონოსტასის ფიცარზედ სანთლის დასანთებად სრულებით აღარ ეჩოთირება მათ თვალს და პატარაობიდან შეჩვეული თვალი რიგიანი შანდლის საჭიროებას აღარც კი რაცხს..

ერთ საიმედო დამხმარე ღონის ძიებად ეკკლესიების გამოშენებისა და იაფ ფასათ საეკკლესიო ნივთების მოპოებისათვის ჩვენ ყოველთვის მიგვაჩნდა და მიგვაჩნია საეკკლესიო ნივთების საწყობები. საეკკლესიო ნივთების საწყობთა დაარსების შესახებ ჩვენ ჩვენსავე გამოცემაში მრავალჯერ გამოგვითქვამს ჩვენი აზრი და შეხედულება. ურჩევთ ყველას, ვისაც საინტერესოდ მიაჩნია ამ დაწესებულების შესახებ ცნობების შეტყობა გადაათვალიეროს წარსული წლების ჩვენი გამოცემის ნომრები და ჩვენს აზრს შეიტყობს. რადგან ჩვენი სიტყვები სავარაუდო საეკკლესიო ნივთების საწყობის დაარსების შესახებ ღარჩა ხმად მლალადებლისა უდაბნოსა შინა, ჩვენ კერძოდ დავაარსეთ ყვირილის ეკკლესიასთან საეკკლესიო ნივთების საწყობი. მცირე დროში ჩვენ დავრწმუნდით გამოცდილებით, რომ ამისთანა საწყობები დიდათ დაეხმარება სამღვდლოებას და საზოგადოებას ეკკლესიების შემკობის საქმეში.

ჩვენის მიხედვით, იანვრის თვიდან 1893 წლისა რამოდენიმე სამღვდლო პირის სურვილით აღიძრა კითხვა საეკკლესიო ნივთების საწყობის დაარსების შესახებ ქ. ქუთაისში. ყოვლად სამღვდლო გაბრიელი ეპისკოპოზი იმერეთისა პირველად არ აძლევდა ნებას საწყობის დამაარსებელ პირთ საწყობისათვის საჭირო ფულის სესხებაზე, რადგან ნა-სესხები ფულის გარდახდისათვის საწყობის დამაარსებელნი პირნი საიმედო გარანტიას ვერ იძლეოდნენ. მაგრამ 1894 წელს ყოვლად სამღვდლო დაითანხმეს და საწყობის დასაარსებლად ისესხეს ორი ეკკლესიიდან ხუთი ათასი მანეთი. პირველ იანვრიდან 1895 წელსა ნივთების საწყობი დაარსდა ქუთაისში, რომლის მმართველად განსვენებულმა ყოვლად სამღვდლო გაბრიელმა დანიშნა კათედრის დეკ. გაბრიელ ცაგარეიშვილი და მის თანაშემწედ დიპლომატი ივლიანე წერეთელი. ერთი წლის შემდეგ საწყობის დაარსებისა სამღვდლოებას აცნობეს, რომ საწყობის საქმე შევნიერად მიდისო და მოგებაც ათას ორასი მანეთის ნივთები რჩებაო, მასთან გაბრიელის სავარაუდო სასწავლებელს დიდ შემწევობას პირდებოდნენ საწყობის მოგებიდან. მაგრამ საწყობის მმართველმა

მ. დ. გ. ცაგარეიშვილმა საწყობის მართვა-გამგეობაზე უარი განაცხადა მისის თვეში 1895 წელსა სამღვდლოების კრებაზე. სამღვდლოება პირველად არ თანხმდებოდა, პასუხის მგებელი გამხდარიყო ამ საწყობის ვალის გარდახდაზე, მაგრამ როცა საწყობის მართველად ყოფილის თანაშემწემ, მამა ი. წერეთელმა დაარწმუნა უმეტესი ნაწილი სამღვდლოების კრებისა, რომ სამღვდლოება დიდ სარგებლობას ნახავს საწყობისაგან და ვალიც მალე იქნება გასტუმრებულიო, კრების დეპუტატების უმეტესი ნაწილი დათანხმდა საწყობის მიღებაზე და მართველად თვითონ მ. ი. წერეთელი აღირჩია და მისი მოქმედების მეთვალყურედ კამიტეტი დანიშნეს დეკანოზის იოსებ ჭეიშვილის თავმჯდომარეობით.

სამღვდლოების უკანასკნელ კრებაზე მ. ი. წერეთელმა წარმოადგინა ანგარიში, რომლისაგან სჩანდა, რომ საწყობს ნივთები და ნისიები შვიდი ათასი მანეთისა აქვს და ვალი ექვსი ათასი მანეთი. იმავე დროს მართველმა მ. ი. წერეთელმა ითხოვა სამსახურისათვის. ერთ დროებითად ფულის საჩუქარი გარდა იმ შემწევობისა, რომელიც ეძლეოდა მას გზის ფულად. სამღვდლოების კრებამ ერთ დროებითად დაუნიშნა მას საჩუქარი. როცა ერთ დროებითი საჩუქარი დაენიშნა მ. წერ—ს; შემდეგ უარი განაცხადა საწყობის მართვა-გამგეობაზე. სამღვდლოებამ ბევრი სთხოვა, მას დარჩენილიყო მართველად და კარგ ჯამაგირსაც უნიშნავდა, მაგრამ იგი მაინც არ დადგა. როგორც ამავე ნომერში დაბეჭდილი კრების ანგარიშისაგან დაინახავს მკითხველი, კრებამ გვთხოვა ჩვენ გვეკისრა ამ საწყობის მმართველად და ჩვენც დავთანხმდით. თანახმად კრების ყურნალის დადგენილობისა, დამტკიცებულის ევარჩიის მთავრობისაგან ხსენებული საწყობი ჩავიბარეთ ოც ამ თვეს. საწყობის მდგომარეობა, უნდა ვსთქვად გამოტეხილად, არ არის იმ სანატრელ მდგომარეობაში როგორც მამა ი. წერეთელი გვიმტკიცებდა. მაგრამ ესლა ამაზე არ ღირს ლაპარაკი და წერა. თუ ყველა ნივთები, რომელნიც არიან საწყობში (ნივთებო ხუთი ათას ოთხას მანეთამდე საღირალი) გაიყიდნენ, ყველა ნისიები შეკრებილ იქნება და ბედ გაცემული ფულები არ დაიკარგა, საწყობს მოგებად მაინც დარჩება 800 მანეთის საღირალი ნომოდლიტოგრაფიული სურათები ბონაკერის იეფუასიანი ხატები და შესამოსლისათვის სახმარებელი



სირმები. მაგრამ ამ ნივთების გაყიდვას ათი წელიწადი მაინც უნდა მოუცადოს კაცმა და შემდეგშიაც გაიყიდებიან თუ არა ეს ნივთები ამის თქმაც საძნელოა...

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ამ საეკლესიო ნივთების საწყობის საქმესაც ის გაუმჯობესობა დაეტყობა, რა გაუმჯობესობაც მოხდა წმინდა სანთლის ქარხნის წარმოების საქმეში. ჩვენ გვრწამს, რომ საქმის ცოდნა და სიყვარულობით მისი ხელის მოკიდება ყოველ დაბრკოლებას დასძლევს. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი თანამოძმენი და საზოგადოება ჩვეულებრივ ძმურ თანაგრძნობას და ზნეობით დახმარებას აღმოგვიჩვენენ ამ საქმეშიაც. ეს საწყობი დასავლეთის საქართველოს ეპარხიების ყველა სამღვდლოებას და სტაროსტებს დაეხმარება მათი ეკლესიების შემკობის საქმეში და ამისათვის ყველასაგან მოველით თანაგრძნობას და ზნეობით დახმარებას.

დეკ. დ. ლამბაშიძე



**იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატების კრება 3. ჟუთაისში 17, 18, 19 და 20 ნოემბერს.**

(გაგრძელება\*).

დიდი ბაასი გამოიწვია კრებაზე იმერეთის ეპარქიის გაბრიელის საქალებო სასწავლებლის რჩევის წინადადებას სხვა-და-სხვა საგნების შესახებ. ხსენებულ სასწავლებლის რჩევამ გრძელი მოხსენება წარუდგინა სამღვდლოების კრებას და ითხოვა: 1) ჯამაგირები მოემატებიათ ზედა კლასების მასწავლებელთათვის, 2) კიდევ ორი ზედა-მხედველი-აღმზრდელი ქალისათვის დაენიშნათ ჯამაგირად რვაას-ორმოცი მანეთი, 3) თითო თუმნის გადასახადი ათი-წლის განმავლობაში დაედგინათ იმისთანა შტატებზე, რომელნიც 1892 წლის შემდეგაც გაიხსნებოდნენ და ამ სახით ეს გადასახადი მუდა უნდა გაგრძელებულიყო, 4) განესაზღვრა კრებას სწავლის უფლებისათვის ფული ვის კარდახდოდა და ვინ განთავისუფ-

ლებულიყო, ან ღარიბი მოსწავლენი ვის განეთავისუფლებინა სწავლის უფლებისათვის გარდასახადი ფულისაგან.

რადგან ყველასათვის ცხადია, რომ ლეჩხუმის მაზრის სამღვდლოების შემოერთება ამ სასწავლებელს შესძენდა არა მცირე ფულს, ამისათვის ამ ფულების დასახარჯავათ თავი გამოიჩინა სხვა-და-სხვა გასავალმაც, რადგან ჩვენში, სამწუხაროდ, განსვენებას ვერ ეღირსება კაცი, თუ შემოსავალს გასავალიც არ მოუნახა. ჩვენ იმ აზრის არა ვართ, რომ ქონება მკვდრათ ეგდოს, მაგრამ ცოტა რომ მოიცადოს კაცმა და უფრო საჭირო საგნისათვის შეინახოს შემოსავალი, რასაკვირველია, ცოდვა არ იქნება... სასწავლებლის რჩევას ისე ხელოვნურად დაეხატა მასწავლებლების მდგომარეობა, რომ, თითქმის, ისინი თავს ანებებენ სწავლებას, თუ ჯამაგირები არ მოუმატეთო... კრებაში ზოგიერთი დეპუტატებისაგან, თითქმის, წინააღმდეგი აზრი გამოითქვა სამასწავლებლო რჩევის წინადადების შესახებ. ზოგი ამბობდა: კიპრა ის ჯამაგირები, რაც მთავრობისაგან აქვთ გარდაწყვეტილიო, კიდევ მეტი მეთვალყურის დანიშვნა საჭირო არ არისო, საუკუნოდ ათი მანეთის გადასახადის დადება არ შეიძლებაო და სხვანი, მაგრამ კრებაზე ისეთი დეპუტატებიც იყვნენ, რომელნიც მზად იყვნენ რჩევის წინადადება შეუცვლელათ მიეღოთ და მოთხოვნილი ფულები დაენიშნათ, მით ნამეტურ, რომ სასწავლებელს საშუალება აქვს ლეჩხუმის სამღვდლოებისაგან შემოტანილი ფულები მოიხმაროს ნაჩვენებ სარჯების დასათარავადო.

**დეპ. მდ. ს. დადუნაშვილი.** «ქალების სასწავლებლის რჩევის წინადადებას ჩვენ განსაკუთრებით ყურადღება უნდა მივაქციოთ. ჩვენ უმეტესი ყურადღება უნდა მივაქციოთ როგორც მასწავლებელთა შრომის ჯეროვანად დაკმაყოფილებას ისე ბავშების მეთვალ-ყურის და აღმზრდელი ქალების დანიშვნის საჭიროებას. მე ჩემის მხრით საჭიროთ მიმაჩნია ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება განსაკუთრებით მეთვალყურე ქალთა დანიშვნა რე ჯამაგირის მომატება და თუ შეძლება და მოხერხება გვაქვს, რასაკვირველია, უნდა აღვასრულოთ მოთხოვნილება სასწავლებლის რჩევისა».

საზოგადოდ ყველა საგანზე მამა დეპუტატი დადუნაშვილი რიგიანს მოსაზრებულ და ლოდიკურ მსჯელობას წარმოსთქვამდა ხოლმე, რითაც მთელი

კრების ყურადღება მიიქცია. იმის სიტყვა ყოველთვის მისი გულის თქმა და მისი გონების ნაყოფი იყო და ამისთვის ყველასათვის მოსაწონი.

**დუბ. მღ. ნაშნაიაძე.** ჯამაგირები მასწავლებლებს დანიშნული აქვს და ის იკმარონ. თუ იმას არ დაჯერდებიან, თავი დაანებონ და სხვა მთხოვნილებიც ბევრი აღმოჩნდებიან. ბავშვების მეთვალ-ყურენი და ზედამხედველნი საჭირონი არ არიან. ორი არის და მათ ასრულონ ეს მოვალეობა. მე მგონია ერთი მეთვალყურეც კმარა და სამი რაღა საჭიროა!..

**დ. მღ. ივლიანე ასესაძე.** წარმოსთქვა გრძელ-სიტყვა აღნიშნული წინადადების შესახებ და, სხვათა შორის, სთქვა: ამბობენ, რომ აკადემიაში კურს დამთავრებულები არ ისურვებენ, თუ გაკვეთილებზე ფულები არ მოუმატეთ იმაზე მეტი, რაც მთავრობისაგან არის დანიშნული. თუ მთავრობისაგან დანიშნულს ჯამაგირებზე არ არიან თანახმანი და თავს დაანებებენ, მე ვგონებ, ბევრი სემინარიელები იქნებიან მთხოვნილნი ამ ადგილებისა და დარწმუნებულებიც უნდა ვიყუთ, რომ სემინარიელები სწავლებაში აკადემიელებს არ ჩამოუარდებიან. ამის დასამტკიცებლად ჩვენ შეგვიძლია ბევრი მაგალითები მოვიყვანოთ სასწავლებლის მასწავლებელთაგან. აიღეთ, მაგალითად, ის საგნები, რომელსაც ასწავლიდნენ და დღესაც ასწავლიან სემინარიელები: რაში ვხვდავთ ჩვენ ნაკლები განვლებას სემინარიელების სწავლებაში? დღეს თუ აკადემიაში კურს დამთავრებულნი ასწავლიან, რა მეტი სწავლა ეტყობა შაგირდებს. მე ვერა გამიგიარა. ზოგიერთი სასწავლებლის მოწაფეები სემინარიაში სრულებით არ მიიღეს, რადგან სუსტად იყვნენ მომზადებულნი, თუმცა ამ შაგირდებს ასწავლიდნენ აკადემიაში კურს დამთავრებულნი. მე არ მჯერა, რომ სემინარიელმა ვერ შეიძლოს სწავლება იმ საგნებისა, რომელსაც ასწავლიან ამ ქალების სასწავლებელში: ზოგიერთებმა ის აზრი წარმოსთქვეს, რომ ის ჯამაგირები, რომელიც კომიტეტმა გაბრიელის საქალეზო სასწავლებლის მასწავლებელთ დაუნიშნა, ძლიერ მცირეაო. რუსეთში კი მეტი ჯამაგირი აქვს მასწავლებელთა.

**დუბ. დ. ღამბაშიაძე.** მე ამ სასწავლებლის რჩევის წინადადებაზე ხელი მაქვს მოწერილი, როგორც რჩევის წევრს და ამიტომ, ერთის შეხედვით, ამ წინადადებრს საწინააღმდეგოდ აღარაფერი მეთქმის, მაგრამ, რადგან აქ მრავალ გვარი აზრები გამოითქვა

სასწავლებლის რჩევის მიერ წარმოდგენილ წინადადებათა შესახებ, არ შემიძლია, როგორც კრების დეპუტატმა, ჩემი აზრიც არ მოვასხენო კრებას. აქ გამოითქვა ის აზრი, რომ თუ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულნი პირნი არ დაჯერდებიან იმ ჯამაგირებს, რომელიც დანიშნულია მთავრობისაგან, შეუძლიათ თავი დაანებონ და მათი გაკვეთილები სემინარიელებს მიეცესო. ზოგიერთებმა ისიც განაცხადეს, რომ, თითქო, მარტო ამ სასწავლებელში იყოს ასე მცირე ჯამაგირები და არა სხვაგანაც. ამასთან ზოგიერთმა დეპუტატებმა ისიც განაცხადეს, რომ სემინარიელები უკეთესად მეცადინობენ, ვინემ აკადემიელებიო და სხვ. იმის განმარტება, თუ ვინ უფრო კარგად ასწავლის აკადემიელი, თუ სემინარიელი, შორს წაგვიყვანს და საქმეს არ დაეხმარება. რაიცა შეეხება ხსენებულ სასწავლებელში მოსამსახურე პირთა ჯამაგირების რაოდენობას, ეს რაოდენობა ყველა საეპარქიო ქალების სასწავლებელში განსაზღვრული როცა ჩვენ ამ სასწავლებლის წესდებას და შტატს ვადგენდით, ხელთ გვქონდა რუსეთის საეპარქიო საქალეზო სასწავლებლების უმაღლესად დამტკიცებული წესდებები და შტატები. მართებლობას, რასაკვირველია, სახეში აქვს, რომ ხსენებულ სასწავლებლებში მასწავლებლებად მოწვეულ იქნებიან სხვა სასწავლებლების მასწავლებლნი და ამისათვისაც არის, რომ ხსენებულ სასწავლებლებში თითოეულ გაკვეთილზე დანიშნულია 3 მ. მასთან ისიც გარკვეულია, რომ ამ სასწავლებლებში მოსამსახურეთ ჰენსია არ ეძლევათ. თუ კი რუსეთის შუა გუბერნიებში შობენ კაცებს ამ ჯამაგირით, ჩვენში რაღა აბრკოლებს ამ საქმეს? ამბობენ, რომ თუ ჯამაგირები არ მოუმატეთ, მასწავლებლები თავს დაანებებენ სამსახურსო. მაგრამ ეს დასაჯერი არ არის. დღემდის არავის დაუნებებია თავი და არც ამის შემდეგ მიგვატოვებენ. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ჩვენში, საზუბედუროდ, მსურველნი არიან, რომ არა მარტო ერთ და ორ სასწავლებელში იქონიონ გაკვეთილები, არამედ ხუთსა და ექვსში, თუ როგორმე მოახერხეს. სწორეთ ეს არის მიზეზი, რომ ერთი და იგივე პირი ტაძრის წინამძღვარიც არის და ორ და სამ სასწავლებელშიაც აძლევს გაკვეთილს და როგორ ასწავლის, ამას არავინ ეძიებს. რაც შეეხება მეთვალყურე ქალების რიცხვის მომატებას და მათთვის ჯამაგირების დანიშვნას, თუ კი საშუალება

გვექნება სამღვდლოებს, რასაკვირველია, კარგი იქნება, რომ მეტი მეთვალყურე ვიყოლიოთ. მოსახრება რომ ყოველმა ახლად ნაკურთხმა მღვდელმა ათი წლის განმავლობაში იხადოს წლიურად თითო თუმანი და ამ გვარად ეს გადასახადი სამუდამოდ გაგრძელდეს, მოუხერხებლად მიმაჩნია. ამ საქალეზო სასწავლებელში სწავლის უფლების შესატანი ფულისაგან განთავისუფლებული უნდა იქმნენ მღვდლის, მთავარ-ღიაკენის და მედავითნეთა შვილები და შვილი-შვილებიც. ამ პირთ გარდა ყველანი ვალდებული არიან სასწავლებელში თავის შვილის სწავლებისათვის გადაიხადონ დადებული გადასახადი. თუ ვინცოცაა, ვინმემ სიღარიბისა ან სხვა საპატო მიზეზთა გამო მოითხოვა ამ გადასახადისაგან განთავისუფლება, ეს, რასაკვირველია, უნდა მიენდოს თვით სასწავლებლის რჩევას.

**დეკ. გ. ცაგარეაშვილი.** მე სასაცნოდ მიმაჩნია ვილაპარაკო იმის შესახებ, თუ ვინ უფრო კარგად ასწავლის აკადემიელი, თუ სემინარიელი. მე მხოლოდ მსურს ორიოდ სიტყვა მოვასხენო კრებას მ. დეკანოზის დ. ლამბაშიძის სიტყვის შესახებ. დეკ. ლამბაშიძემ განაცხადა, რომ რუსეთში ეპარქიალურ საქალეზო სასწავლებლებში ყველგან ისეთივე ჯამაგირებია დანიშნული, როგორც ჩვენ სასწავლებელში, კაცებსაც შოობენ და საქმეც კარგად მიდისო. ამაზე მე უნდა მოვასხენოთ, მ. დეპუტატო, რომ რუსეთში საეპარქიო საქალეზო სასწავლებლები ძლიერ გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან. ყველგან უჩივიან, რომ დადგენილი ჯამაგირებით ხეირიან მასწავლებლებს ვერ შოობენ. ამ სასწავლებლებში, როგორც თქვენც მოგეხსენებათ, ისეთ საგნებსაც ასწავლიან, რომელთაც აკადემიაში არ გადიან. მაგალ. მატემატიკის და ფიზიკის მასწავლებელი უსათუოდ უნივერსიტეტში კურს დასრულებული უნდა იქნეს, აკადემიელს ამ საგნების სწავლება არ შეუძლია. აკადემიაში ამ საგნებს სრულებით არ ასწავლიან.

**დეპ. მდ. ვ. ფოფხაძე.** საღმრთო ისტორიის სწავლება ხომ შეუძლიათ აკადემიელებს?

ვინაიდან მღვდელმა ვ. ფოფხაძემ სიტყვაში შეეცილა თავმჯდომარის ნება-დაურთველად დეკ. ცაგარეიშვილმა აღარ გააგრძელა თვისი სიტყვა, სთხოვა დეპ. ფოფხაძემ და ზოგმა სხვებმაც დაესრულებინა სიტყვა, მაგრამ აღარა უთქვამს რა.

**ერთი დეპუტატოცაგანი.** რადგან მატემატიკის და

ფიზიკის მასწავლებლის ნახვა საქნელო ყოფილა, მაშ მარტო მას მოუმატოთ ჯამაგირი. ამ წინადადებაზე დათანხმდენ ყველა დეპუტატები და კრებამ დაადგინა: მიემატოს ჯამაგირი მხოლოდ მატემატიკის და ფიზიკის მასწავლებელს. ხსენებული სასწავლებლის სასარგებლოდ ათი მანეთის გადასახადი წლიურად მღვდლების საკუთრებიდან გადახდეს ყველა იმ ახალ შტატის კრებულთ, რომელი შტატებიც, გახსნილან 1892 წლიდან და ან დღეს გაიხსნებიან, და ეს გადასახადი გაგრძელდეს ათი წლის განმავლობაში: მეთვალ-ყურე ქალი დანიშნოს ორი და ჯამაგირიც მიეცესთ მათ იმ ფულებიდან, რომელნიც შემოვა ლეჩხუმის სამღვდლოებისაგან.

როცა კრებამ ეს განაჩენი უკვე დაადგინა, კრებაზე შემოვიდა ეპარქიალური საქალეზო გაბრიელის სასწავლებლის ინსპექტორი ბ. ი. სანებლიძე, რომელმაც წარმოსთქვა გრძელი სიტყვა და დაუმტკიცა სამღვდლოებს, რომ ჯამაგირების მომატება ითხოვებოდა არა მარტო მატემატიკის და ფიზიკის მასწავლებლისათვის, არამედ ზედა კლასების ყველა მასწავლებლებისათვის, რაზედაც სამღვდლოებს დაუჭირდება წრიურად არა უმეტეს 300 მანეთისა და ითხოვა, რომ სასწავლებლის რჩევის ასეთი მოთხოვნილება დაეკმაყოფილებია კრებას. კრებამ დაადგინა, რომ ყოველ წლობით სამას სამასი მანეთი მიეცეს რჩევას ხსენებული ხარჯებისათვის ლეჩხუმის მაზრის სამღვდლოების მიერ შემოტანილი ფულისაგან.

18 ნოემბერს დილის ცხრა საათზე შეიკრიბენ დეპუტატები. ყველაზე პირველად თავს მჯდომარემ წაიკითხა ანგარიში საეპარქიო ნივთების საწყობისა, რომელიც შედგენილი იყო ამავე საწყობის მმართველის მდ. ი. წერეთლისაგან. დაასრულა თუ არა ანგარიშის კითხვა, თავს მჯდომარე მიიქცა დეპუტატებისადმი და ჰკითხა მათ, თუ ვის სურს წაკითხულ ანგარიშის შესახებ სიტყვის თქმა.

**დეპ. დეკ. დ. ლამბაშიძე,** არ მჯერა, რომ რომელიმე დეპუტატს გაეგო და შეეტყო ეს ანგარიში და საქმის მდგომარეობა. ორი-სამი სიტყვა, მართალია, გასაგებია, სადაც სწერია, რომ ნივთები და ნისიები დღეს მალაზიას აქვს შვიდი ათასი მანეთის, და ვალი ექვსი ათასი მანეთისაო. ვინ არის თავსმდები, რომ ყველა ნისიები ამოიგება, ვის შეუძლია სთქვას, რომ რაც ნივთებია, ყველანი მალე გაიყიდება. ამასთან იანგარიშეთ ექვსი ათასი მანეთის სარ-

გებელიც ღ მაშინ გვითხარით, თუ რა მოგება გვრჩე-  
ბიან. წარსულ წელში ვალი უფრო ნაკლები იყო, ამ  
წელში კი მომატებულა. ვთხოვ თავსმჯდომარეს  
მოახსენოს კრებას ამ წელში ხარჯს გარდა რა მო-  
გება დარჩენია საწყობს.

**თავსმჯდომარე.** როგორც მმართველი განაცხა-  
დებს, ხარჯებს გარდა ამ მიმდინარე წელში საწყობს  
ექვსი მანეთი დარჩენია.

**დეკ. დ. დამასაძე.** საწყობს 6 მ. დარჩენია  
მთელს წელიწადში. სწორეთ დიდი მოგებაა! მე  
წარსულ წელში მოვახსენე სამღვდლოების კრებას,  
რომ ჩვენ ვალს გვახვევენ თავზე და ბოლოს შე-  
იძლება სანანებლად გაგვიხდეს საქმე-თქო. ჩვენ ვით-  
ხოვთ, რომ სამღვდლოება ვალისათვის არ იქმნეს  
პასუხის მგებელი და ზარალი არ მიადგეს რა და თუ  
ისე აწარმოებს ვინმე მაგ საქმეს და ნივთებს დაკლე-  
ბულის ფასით მისცემს ეკკლესიებს, დიდი მადლო-  
ბელი ვიქმნებით. ის კიდევ არაფერია, რომ ექვსი  
მანეთი დარჩენია წმიდა მოგება საწყობს, საქმე ის  
არის, რომ ზოგიერთი ნივთები, როგორც ამბობენ,  
ძვირათ იყიდება კერძო პირების მალაზიის ნივთებთან  
ფასების შედარებით. გაბრიელის სასწავლებლის გამ-  
დიდრებას გვაპირდებოდენ და ერთი გროშიც არავის  
მიუცია.

საწყობის მმართველმა მ. ი. წერეთელმა წარ-  
მოსთქვა გრძელი სიტყვა და უმტკიდებდა კრებას,  
რომ მან ძლიერ კარგად იცის ბულგალტერია, რომ  
დიდი შრომა მიუღია საწყობის რიგიანად მოწყობის  
და საქმის წარმოებისათვის. დღეს, სთქვა მან, მარ-  
თალია, დიდი შემოსავალი საწყობს არა აქვს, მაგრამ  
ბოლოს დიდი მოგება ექნება. აი, ბატონებო, ხო  
ხედავთ ამ ხატებს (ამოიღო ფიკრის ოთხ-ხუთ გო-  
ჯიანი ხატები, რომელზედაც ქალაღზე დახატული  
ხატებია გადაკრული). მე დავაბეჭდინე ამისთანა ხა-  
ტები ხუთას-ორმოცი-ათასი. ეს მხატვრობა თითო კაპე-  
იკათ გვიჯდება, ხეში ვაძლევთ სამ კაპეიკს, ასე რომ  
4—5 კაპ. დაგვიჯდება. ვყიდით ორ შაურათ. აბა  
იანგარიშეთ, რამდენი მოგება დაგვრჩება ჯერეთ მარ-  
ტო ამ ხატებიდან?..


ერთი სიტყვით მ. ი. წერეთელი უმტკიცებდა  
კრებას, რომ საეკკლესიო საწყობის საქმე კარგად  
მიდისო და ითხოვდა ორი წლის წამსახურებისათვის  
საჩუქარს. დაუნიშნა თუ არა კრებამ ერთდროვით-  
თად საშრომი, მ. წერეთელმა მადლობა შესწირა კრებას

და გამოუცხადა, რომ მე თავს ვანებებ საწყობის,  
მმართველს და ითხოვა განთავისუფლება.

**დეკ. დ. დამასაძე** რა აზრისაც უნდა იყოს  
ჩვენზე მამა ი. წერეთელი, ჩვენ მაინც იმას ვიტყვით,  
რომ იმას უკეთ შეუძლია აწარმოოს საქმე საწყობში.  
ამისთვის დაუნიშნეთ მას ჯამაგირი, რასაკვირველია,  
საწყობისავე შემოსავლიდგან და დადგეს საწყობის  
მმართველად. თუ წერეთელმა უარი განაცხადა და  
თავი მიანება საწყობს, მაშინ უნდა დარწმუნდეს  
სამღვდლოება, რომ საწყობის საქმე კარგად არ  
არის.

მ. ი. ივლიანე წერეთლის უარის თქმამ საწყ-  
ობის მართვა გამგეობის შესახებ დიდი ლაპარაკი  
გამოიწვია კრებაზე. თითქმის რამდენიმე დეპუ-  
ტატმა განაცხადა, რომ ეს საწყობი სულ დახურულ-  
ლი იყო. მაგრამ უმეტესობა დეპუტატებისა მსურ-  
ველნი იყვნენ, რომ საწყობი არ დახურულიყო.

**დეპ. მდ. ი. ტაბაძე.** აგერ ამდენი ხანია, რაც  
ვლაპარაკობთ შესახებ საეკკლესიო ნივთების საწყო-  
ბისა და კიდევ ვერ გადაგვიწყვეტია დარჩეს თუ არა  
ეს ნივთების საწყობი. ჩემის ფიქრით, მიზეზი ამდენ-  
იხნის ამ საგანზე ლაპარაკისა არის ის, რომ მომე-  
ტებ ულ ნაწილს მ. დეპუტატებისას აკლია მსჯელო-  
ბის დროს გულ წრფელობა. ზოგიერთს რაც გულში  
აქვს და რასაც ფიქრობს იმის თქმა რაღაც უჭირს.  
მიკვირს, თუ რისთვის უნდა იყოს ასეთე? ნუ თუ  
ხათრს და მორიდებას აქ ადგილი უნდა ქონდეს?  
ჩვენ, ყველა აქ მყოფნი ერთნაირი ღირსებით და  
ერთნაირი უფლებით ვართ აღტურვილნი და რადგან  
ეს ასეთეა მაშ სიმართლის თქმას წინ რა უღვას? მე  
დარწმუნებული ვარ, რომ მომეტებულ ნაწილს დე-  
პუტატებისას ამ საწყობის დახურვა გსურსთ, მაგრამ  
ამის გამხელა რაღაც სამძიმოთ გირჩებათ. რასაკვირ-  
ველია არავისთვის სასიამოვნო არ არის, მაგრამ რას  
ვიზამთ, ნათქვამია: „ძალა აღმართს ხნავსო“. ვინც  
წაკითხული ანგარიში ამ საწყობის შესახებ გულ-  
დასმით მოისმინა და, ეგრეთ ვსთქვათ, კომერციული  
თვლით შეხედა, ის უეჭველია შენიშნავდა, რომ  
სამღვდლოებას არავითარი საფუძველი იმისა, რომ  
ეს საწყობი დარჩეს, არა გვაქვს. აგერ სამი წელი-  
წადია რაც ის არსებობს და არა თუ მას რაიმე  
მოგება მოუცია ჩვენთვის, არამედ ასე გაშინჯეთ,  
თავდაპირველად მაზე აღებული ვალის სარგებელიც  
ვერ გაუსტუმრებია, როგორც ეს სამართლიანად შე-



ნიშნა მ. დოლაბერიძემ, ასე რომ დღეს რაც მასში ნივთებია ის რომ გავანაღლოთ, ამით შეიძლება მართო თავნი ვალი გავისტუმროთ, ხოლო რაც შეეხება სარგებელს, რომელიც ამ ვალს ერგება, ის საიდგან უნდა მიეცეს. ამაზე პასუხის მომცემი არავინაა. ჩემის ფიქრით, თუმცა ამის თქმას ბევრი უკიდურესობად მიიღებს, მაგრამ მაინც ვიტყვი, უმჯობესია ეს საწყობი დღესვე დაიხუროს, რომ მისი წყალობით მოხვეული ვალი ბოლოს უფრო სამწუხაროთ არ დაგვირჩეს ვინემ დღეს (ზოგიერთი დეპუტატები ხმა მალლა ყვირიან: არ შეიძლება დახურვა, საწყობი უნდა გვექნეს). კარგი, დახურვა თუ არ შეიძლება აბა ამის წამალიც ეს არის: აიღეთ და რაც სანთლის შოგებიდან გრჩებათ ამ საწყობს მოახმარეთ, როგორც სურს ზოგიერთებს, და მაშინ, იმედია, რომ ერთის მაგიერ ორივეს დახურავთ: ნივთების საწყობსაც და სანთლის ქარხანასაც.

**თავსმჯდომარე.** მამანო დეპუტატო! ცხადათ სჩანს, რომ საწყობის დახურვა უმეტესობას არა სურს. წერეთელმა უარი განაცხადა. ეხლა მეტი აღარაფერი დაგვრჩენია, ჩვენ მივსცეთ წინადადება პირველად ქალაქის სამღვდლოებს და შევიტყოთ, თუ ვინ ისურვებს საწყობის მმართველ-გამგეობას და თუ ქალაქის სამღვდლოებაში არავინ აღმოჩნდება, შემდეგ სოფლის სამღვდლოთაგანს შევეკითხოთ.

**დ. შ. ბ. ს. ნემსაწყვრადე.** ძლიერ მიკვირს, რომ როცა რაიმე მსჯელობა ჩამოვარდება რაიმე თანამდებობის მიღების შესახებ, საზოგადოდ ასეა მიღებული, ვითომ ქალაქის მღვდელი უკეთესი უნდა იყოს სოფლისაზე, მე უნდა მოვასწავლო კრებას, რომ...

(თავსმჯდომარე არ აძლევს ნებას სიტყვა განაგრძოს).

**დ. დ. ღამბაშიძე.** რიგი და კანონიერი იქნება ჩვენ ჯამაგირი დაუნიშნოთ მმართველს და საწყობში მჯდომს. ამას გარდა ვინც იქნება მმართველი, პასუხის მგებელი იქმნეს პირადათ საწყობის ზარალზე და ეს უურნალშიაც იქმნეს გატარებული, ამის გადაწყვეტის შემდეგ ვინც გნებავთ, ის დააყენეთ. გონივრულათ თუ აწარმოებენ საქმეს და ყველანი თანაგრძნობით მოეკიდებიან საქმეს, იმედია, რომ საწყობიც სარგებლობას მოუტანს და თუ ასე არ წავა საქმე, სამღვდლოება მაინც პასუხის მგებელი არ იქნება სხვისი შეცთობისათვის და ესეც მოგებათ უნდა ჩავაგდოთ.

კრებამ მმართველს დაუნიშნა ჯამაგირად სამასი მანეთი და საწყობში მჯდომს ორასი მანეთი.

შემდეგ მამა თავსმჯდომარე შეეკითხა ქალაქის სამღვდლოებს, რომელნიც, თითქმის, ყველანი კრებაზე იყვნენ, მაგრამ არც ერთმა არ განაცხადა თანხმობა იმ პირობით საწყობის მმართველ-გამგეობაზე. ამ უარის თქმამაც ყველა დეპუტატები დაალონა და სთხოვეს დეკანოზს დავით ღამბაშიძეს, რომ მიეღო საწყობის მმართველ-გამგეობა თავის თავზე. დეკ. დ. ღამბაშიძემ მოახსენა კრებას, რომ იგი მზათ არის ყოველს შემთხვევაში დაეხმაროს სამღვდლოებს, რომ ის 1886 წლიდან ამისთანა საწყობების დაარსების შესახებ ბევრს წერდა და ბევრ სასარგებლო რჩევას აძლევდა სამღვდლოებს, თუმცა ზოგიერთი პირები ამ სასარგებლო რჩევების აღსრულებაში ხელს უშლიდნენ, თვითონ არა შეეძლოთ რა და სხვასაც აბრკოლებდნენ. მე სამღვდლოების თხოვნას, სთქვა ღამბაშიძემ, უარს არა ვყოფ და საზოგადოებასაც არა ვითარ ვალს არ მივაყენებ იმ პირობით, რომ დღევანდლამდის აღებულ ვალს ძველი გამგეობის ნაყიდმა ნივთებმა ლ ძველმა გამგეობამ აგონ პასუხი ლ საწყობის ჩაბარების შემდეგ აღებული ვალისაგან ან საწყობის ზარალისაგან სამღვდლოება უზრუნველი იქმნება. მე ვსთხოვ კრებას დანიშნოს კამიტეტი მდღეები ვ. დოლაბერიძის, მ. ს. ლეკვეიშვილის და ა. გერსამიასგან, რომელთა თანადასწრებით ჩამბარდეს ნივთები ანგარიშით.

კრებამ ერთხმად აღირჩია საწყობის მმართველად და გამგებელად დეკ. დ. ღამბაშიძე. კრება გადიდა 19 ნოემბრისათვის.

ერთი დეპუტატთაგანი



**წმინდი რედაქტორთან უწყანიდან.**

პატივცემულო, მამო დეკანოზო დავით!

ვიცი, თუ რა დიდათ სასიამოვნოა ჩვენი შეგნებული საზოგადოებისათვის უმაღლესი სწავლა განათლების მექონ სასულიერო პირთა შორომატება, — ვიცი, აგრეთვე, როგორი სიხარულით ეგებებოდით თქვენ და თქვენი პირით მთელი ჩვენი სამღვდლო-



ება მ. მ. ლეონიდის, დიმიტრის, კირიონის და ამას წინათ, დავითის (ევთ. კაჭახიძის) ბერათ აღკვეცას... ამისათვის ვისწრაფი ვაცნობო პატივ-ცემულ «მწყემსის» მკითხველებს ერთი ფრად სასიხარულო ამბავი, რომელიც ჭეშმარიტად ამართლებს იმ აზრს, რომ ეს უკანასკნელი ათი წელი საქართველოს ეკლესიის ცხოვრებაში შავი სამღვდლოების განახლების ხანათ უნდა ჩაითვალოს.

რომ ქართველებს მტკიცე სარწმუნოება ქრისტესი და მართლ-მადიდებელი ეკლესიის პატივისცემა არც ისე გაქრობიათ გულში, როგორც ეს ზოგიერთ „ერებს“ ეგონათ,—ამის უტყუარ მაგალითს, ზემო აღნიშნულ პირთ გარდა, წარმოგვიდგენს კიდევ მ. ბესარიონ ხელაია, რომელიც წელს ჩვენთან ერთად მიიღეს ყაზანის აკადემიაში. ამის გარდაწყვეტილება სინოდისაგან 31-ს ოქტომბერს მოგვივიდა.

მ. ბესარიონს თბილისის სემინარია დაუმთავრებია 1835 ში მეორე შევირდათ, მერე მღვდლათ კურთხებულა და წლამდე სოხუმის საკათედრო ტაძრის კანდელაკათ ყოფილა. ამ ოთხი წლის წინათ იგი დამქვრივებულა და ხელზე დარჩენია ობლათ სამი შვილი. საბედლოთ მ. ბესარიონს მამა (მღვდელია) ცოცხალი ყავს და სწორეთ ამ გარემოებას შეუწყვია მისთვის ხელი, თორემ, შეიძლება, ვერც კი გაებედნა ყმაწვილების დატოვება. დღეს იგი სულ 31 წლისაა, და დიდათ საკვირველია და ამასთანავე ქების ღირსი, რომ კიდევ შერჩენია სწავლის სურვილი და ენერჯია.

ამის მაგალითი რუსეთის სამღვდლოებაში იშვიათი არაა: ბევრი ცოლ-შვილიანი მღვდლებიც შემოღიან აკადემიაში და კურსის დასრულებამდე აქვე ცხოვრობენ ოჯახობით საკუთარ ბინაზე. ჩვენში კი მ. ბესარიონი პირველ მაგალითათ უნდა ჩაითვალოს.

ვისურვებთ, სხვა ჩვენ ახალ გაზდა მქვრივ მღვდლებსაც ნიებაძოსთ მ. ბესარიონის მაგალითისთვი და არ დაზარებოდესთ უმადლესი სწავლის მიღება სამშობლო ეკლესიის სამსახუროდ და სასახელოთ შეიძლება ზოგიერთებს მისაღება ვეზამენების სიძნელე აფიქრებდეს. მაგრამ, როგორც ეს ჩვენ უკვე გამოცდილებით ვიცით, ამ მხრით მათ, თითქმის, არავითარი დაბრკოლება არ ექნებათ: ვეზამენების დატკრა, მეტადრე მღვდლებისათვის, აქ ძალიან ადვილია. თუთ მ. ბესარიონი კი უეგზამენოთ მიიღეს უწმ. სინოდის ვაჩკარგულებით.

ს. ვორვაძე.

წერილი რედაქციის მიმართ

მ. რ! თქვენგან მუქთად გამოგზავნილი ჟურნალისათვის დიდს მადლობას გწირავთ და რაც შეიძლება ვეცდები „მწყემსი“-ს საშვალეებით დავსთესო ხალხის გულსა და გონებაში სარწმუნოება და ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობა. მართალი ბრძანებაა, რომ აქ ხალხი ძლიერ მოკლებულია ყოველ გვარ საუბრებს და საკითხავებს, მაგრამ მე, როგორც სოფლის მწერალი ვეცდები განუმარტო ხალხს ჟურნალ „მწყემსში“ მოთავსებული საუბრები. მე ეხლა დარწმუნებული ვარ, რომ ხშირი ქადაგება კარგზე გინა ცუდ საქმეზე ადამიანს ბუნებას გამოუცვლის, ვგრეცა ვგონებ, რომ „მწყემსი“-ს კითხვამ დაბადა ჩემში უფრო მტკიცე სარწმუნოება და დაგმო ბოროტი. ეგებ იკითხოს ვინმემ, მე სიცრუით ვწერ, მაგრამ ღმერთმა იცოდეს და ჩემმა სარწმუნოებამ. მე ჩემის მხრით ვსთხოვ სულიერ მამებთ, ვისაც ახლოს ახლავს სოფლის სასამართლოები, ოდეს ჟურნალს წაიკითხავენ სანათხოვროდ მიაწოდონ სოფლის მწერლებს, რომ იმათაც წაუკითხონ ხალხს და ამნაირად გაავრცელოთ ხალხში სწავლა კეთილ ზნეობაზე და სარწმუნოებაზე.

გორდელი მწერალი გიორგი თ.

ბ მ რ ს დ ა ვ ი თ ს


(ევ. კაჭახიძეს)

წინ მიღევს, ძმაო, შენი უსტარი, ვსცანი ყოველი, რაც მოგეწერა, წადი, ბართო, მასაც უთხ რი, აღსრულდა რაც იმ თავით მეწერა. სოფელი, მისი სიტკბო სიმწარე, მსოფლიო ზრუნვა და ქვეყნის ვალი, მის სიხარული, მის შვება-ლხენა ყველა დავსტოვე, ვით წარმავალი. უარ ვყავ ხორცთან ნათესაობა, უარ ვყავ ყოველი თვისი და ტომი,



უარგყავ თავი და ჩემი ნება  
 და ცოცხლივ მკვდრებთან ვიქმენ წილ-მხლომი!“  
 სული სწუხს, მიძრწის, ფუჭია ყველა  
 შენმან ქცევამან ეს მომაგონა,  
 უმწარ-უტკბილო ტანჯვა-გრძნობანი  
 კვლავ ამეშალა და დამაღონა.  
 ხმამ შენგან სოფლის ვადგომისამან,  
 ვით თვით ამ სოფლის გამოცანამა,  
 თრთის გული, როგორც წყალში მზის სხივი,  
 და თვალნი ცხარე ცრემლმა დანამა.  
 ვკითხულობ წეროლს მეორ-მესამედ,  
 მაგრამ ვერ ვეწყვე მე მაგ აზრს ვერა,  
 რა მემართება, ნეტა რა მესმის,  
 ჭკვასა სწამს, მაგრამ გულს არა სჯერა!  
 ო, აუხსნელო, მიზეზთა თავო,  
 შენს მიმოქცევა მიწყვიტ რიალსა,  
 ვის რა მოგველის, ვის თავს რა არი,  
 ბედი გვიმზადებს, ვის რა საგზალსა!  
 ეგ არის მაშა, გათავდა ყველა,  
 ყველა გარდახდა წარსულ დღესავით,  
 ველარ ვიხილავ ჩემსა ექვთიმეს,  
 უნდა გეძახო «მამაო დავით».  
 ძნელ-არს სხვაობა და მოსაგონრად  
 გავლილ-ნახული მთლად ნამყო ჩვენი  
 გულში დამრჩება სამარადისოდ,  
 ახ, ისევ ჩვენი წარსულნი დღენი!  
 მაგრამ რას მარგებს, რად მინდა ოხვრა,  
 როს ქვეყნად სწყდება საქმე ზეცისა,  
 იყოს რაც არა, მშკობი სხვა არა,  
 ბრძანება იქმნას მალალის ღვთისა.  
 და შენც გამხნევი, შავს მაზარასთან  
 ძალიც გარდიცი მოთმინებისა,  
 მარჯვნივ აიღე ჯვარი ქრისტესი,  
 მარცხნივ დათმობა საწუთროისა.  
 შენგან არჩეულ საძნელო გზასა  
 გასწი, პირ-სწორად და მხნედ იარე,  
 სული განაძღე ციურის მადლით,  
 ხორცი ხორციელით დაამშობე.  
 საფათერაკო, მანეთ ცთუნება  
 ბევრი გდევს ეხლა და იმღვიძარე,  
 და მაგალითად, გზისა ლამპარად  
 ქრისტეს დიადი სახე იმძღვარე.  
 ფიქრად დაიღე ის საუკუნო.  
 სააქაოსი იყავ კრძალული,  
 გონება მუდამ ზენადმი გეპყრას,  
 ღვთის სიყვარულით მთლად გამსჭვალული.

ნამორაძე



**სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სასწამუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე**

**ხმა მოქალაქისა საგზუსოსადმი.**

როგორ უნდა მოგაქცეთ, რომ გვაქვანდეს მშვიდობა.

**საუბარი ეთიმოთიმბე.**

მშვიდობა თქვენთანა (იოან. 20, 21).

იესო ქრისტეს განხორციელების და სიკვდილის ნაყოფი იყო მშვიდობა. იმ დროს, როცა მაცხოვარი იშვა ყოვლად წმიდა მარიამისაგან, ანგელოსებმა გვაუწყეს რა მაცხოვრის დაბადება, ამავე დროს გვახარეს კაცთა მშვიდობა და სათნოება. აღსდგა თუ არა მკვდრეთით ქრისტე, რომელმაც თავისი სისხლით შეარიგა ცა და ქვეყანა, მაშინვე გაჩნდა იგი თავის მოწაფეთა შორის, რათა ეუწყებია და მიენიჭებია მათთვის მშვიდობა: «მშვიდობა თქვენთანა!» რქვა მათ მაცხოვარმა. მოციქულების ყველა ეპისტოლეები მორწმუნეთადმი იწყებიან და თავდებიან მშვიდობის სურვილით. „და მშვიდობამან ღვთისამან, იტყვის წმიდა პავლე მოციქული, რომელი ჰმატს ყოველთა გონებათა, შეზღუდენინ გულნი თქვენი და გონებანი თქვენი ქრისტე იესოს მიერ» (ფილ. 4, 7),

მე მრწამს, შეიღწო ჩემნო საყვარელნო, რომ თქვენ უკვე იგემეთ ეს დაუფასებელი ღვთის მადლი, როცა შეუერთდით ღმერთს, და როცა მიიღეთ მშვიდობა ქრისტეს სიყვარულის საიდუმლოში. მაშ დაიკვეით ეს უმშვენიერესი მშვიდობა, მშვიდობა თქვენი სულისა, თქვენი გულის სავსება, სიხარული თქვენი სულისა, ბედნიერება თქვენი ცხოვრებისა, და ამისათვის სამუდამოთ დაინერგეთ თქვენს ხსოვნაში ეს სამი რჩევა, რომელსაც მე დღეს გარდმოგცემთ თქვენ. პირველად, ნუ შეღიხართ იმ სააქმეების გან-

ხილვაში, რომელიც თქვენ არ გეხებოდა, ნურც იმათ ცხოვრების განხილვაში, რომელთა მოქმედებისათვის პასუხის მგებელნი არა ხართ, და მოთმინებით აიტანეთ ყოველივე უბედურება, რომლის წინააღმდეგობა არ შეგიძლიათ. მეორეთ, ნუ გაცხარდებით, თუ თქვენზე თქვეს ან იფიქრეს რამე; დაე, რაც უნდათ, ის იფიქრონ და სთქვან, შენი სინდისი თუ წმიდაა. მესამედ, ყოველთვის იქონიეთ წმიდა სინდისი, და ისე იცხოვრეთ, რომ ყოველთვის მზათ იყოთ უშიშრად შეხედეთ სიკვდილს. თუ თქვენ სისწორით აასრულებთ ამ სამ რჩევას, მაშინ გექნებათ მშვიდობა ღმერთთან, კაცთან და თვის შორისაც.

I. პირველი წიგნი

პირველად, ნუ სწუხართ იმ საქმეებზე, რომელიც თქვენ პირ-და-პირ არ გეხებათ, და ნურც მათი ყოფა-ქცევა გაწუხებთ, რომელთა გულისათვის თქვენ პასუხს არ აგებთ, და მოთმინებით აიტანეთ ის, რისიც წინააღმდეგობა არ შეგიძლიათ. თითოეული ჩვენგანი უპირველეს ვალდებულია იზრუნოს თავის თავზე, და შემდეგ უნდა სტიროდეთ ღვთის წინაშე იმ ცოდვებისა და შეცდომების ხილვაზე, რომელიც ჩვენ თვალ-წინ მრავლდებიან და მთელ კაცობრიობას ედება. ჩვენ უნდა ვცდილობდეთ როგორც ჩვენი თავისთვის, ისე ცოდვილთათვისაც, რომ უფალმა გვაპატიოს ცოდვები როგორც ჩვენ, ისე სხვა ცოდვილებსაც. ეს არის გულ-მოდგინება, რომელსაც გვასწავებს ჩვენ სიყვარული, რომელთანაც განუყრელად დაკავშირებულია იგი. ჩვენ ვართ წევრნი იესო ქრისტესი და ჩვენ ვიქნებით მომაკვდავი წევრნი, თუ ვერ ვიგრძობთ იმ შეურაცხებათ, რომელთაც ქრისტე ყოველ ღვე ითმენს თავის საიდუმლო სხეულში.

დღე მამა ვალდებული არიან ფიცხელი ყურადღება იქონიონ თავიანთი შვილების და შინაურების ყოფა-ქცევაზე, ამაზე უფრო კანონიერი და სამართლიანი არაფერია, და ეს არის მშობლების პირდაპირი მოვალეობა. მღვდელი ვალდებულია ყური უგდოს თავის სამწყსოს; სახელმწიფო და სამხედრო კაცი ცდილობს დაიცვას კეთილ-წესიერება ყოველივე რაში, რაც კი მას ექვემდებარება, ამის წინააღმდეგ არაფრის თქმა არ შეიძლება: ისინი ამისათვის არიან დადგენილნი, და თუ იგინი ამას არ აღასრულებენ, მაშინ იქნებიან საზოგადო მპარავნი, რომელიც უკანონოდ სარგებლობენ იმ ჯამაგირით, რომელიც მათ ეძლევათ მათი სამსახურისათვის; ჯამაგირი, რომელიც დანიშნულია რაიმე თანამდებობისათვის, ეკუთვნის მხოლოდ მათ, რომელნიც ასრულებენ თავიანთ თანამდებობას. ყოველი კაცი სიყვარულისა გამო ვალდებულია მისცეს სხვას რჩევა, რომელიც კი მისთვის სასარგებლოდ მიაჩნია: ამაზე უკეთესი არაფერი იქნება; ეს კეთილი საქმეა, და სახარებაც ამას გვიჩვენებს ყველას.

როცა კაცი მთელი ღვე იმას მეცადინობს, რაც მას სრულებით არ შეეხება; როცა იგი ავრცელებს, ლაპარაკობს და ხან კიდევ იგონებს სხვა-და-სხვა ამბებს; როცა დილიდან საღამომდე ლაპარაკობს და ზრუნავს მხოლოდ იმაზე, რომ შეიტყოს, რას აკეთებს ან რა უნდა გააკეთოს ვინმემ; როცა იგი შედის სხვისი ოჯახის და საქმეების განხილვაში, რომელიც მას სრულებით არ შეეხება და არც არავინ კითხავს რასმეს მათ, როცა სურს ყოველივე შეიტყოს, და მზად არის ილაპარაკოს სახელმწიფო და საეკლესიო საქმეების შესახებ და იმ პირთა შესახებაც, რომელნიც ამ საქმეებს განაგებენ; როცა კაცი აქებს, აძაგებს, ძრახავს ყველა თავის შეხედულებათ; მერწმუნეთ, რომ ამისთანა პირნი არც თავათ არიან მოსვენებულნი და არც სხვას ასვენებენ, იგინი მავნებელნი არიან საზოგადოებისათვის, და ამიტომ ღირსნი არიან სასჯელისა წინაშე ღვთისა და კაცისა, და არას დროს არ ექნებათ მშვიდობა და მოსვენება, როგორც თვის შორის ისე სხვებთან.

შვილო ჩემო! რაზე სწუხარ! უკეთესია შენ ოჯახურ საქმეებს მოჰკიდო ხელი და მტკიცედ აღასრულო შენი მოვალეობა, რისთვისაც შენ ანგარიში უნდა მისცე ღმერთს; ნუ სწუხარ ისეთ საქმეებზე, რომელიც შენ არ გეხებოდა; თავი დაანებე ქვეყნისა, მას განაგებს მოწყალე ღმერთი და შენ შენით ვერაფერს შეცვლი. შენ ვერას გზით ვერ მოისვენებ, თუ იმას მოისურვებ, რაც წინააღმდეგია ღვთისთვის, ან იმას არ ინდომებ, რაც ღმერთსა სურს. ღმერთს სურს, რომ შენ იყო ღირსი, ავადმყოფი, სუსტი, უბედურებასა და მწუხარებაში და შენც არ უნდა გახდე ამისი წინააღმდეგი. რაც უნდა ეწინააღმდეგო ყოველივე ამაებს, ვერას გახდები შენი ნებით, რომელიც ამ შემთხვევაში წინააღმდეგია ღვთის ნებისა, შენი მოქმედებით მხოლოდ თავს შეიწუხებ და სხვას კი ვერას გახდები.

ვთქვათ, თქვენ გყავთ ცოლი, ქმარი, შვილები,

მეზობლები ცუდი ზნისანი, რომელთა გასწორება არ შეიძლება და, თქვენი აზრით უნიკონიკ. მოიქმედეთ ყოველივე, რაც თქვენის მხრით შესაძლებელია, რომ იგინი მოარჯულოთ და ჭკუაზე მოიყვანოთ. მაგრამ როცა დაინახოთ, რომ თქვენი შრომა უსარგებლოდ რჩება მათთვის, მოსვენებით იყავით. შენ თვალ წინ გაქვს ნივთი, რომელიც შენთვის უსიამოვნოა. ჩუმათ იყავი, როცა არაფრის, გაკეთება არ შეგიძლია, და როცა ამისათვის არც პასუხს აგებ. ვინც ცუდს მოიქმედებს, იმას შეემთხვევა ცუდი; რაც შენ არ მოგწონს, ის უფრო მომეტებულად უსიამოვნოა ღვთისათვის; მაგრამ ღმერთი ითმენს ამას; შენ არც უბრძნესი და არც მომეტებული შემძლე ხარ ღმერთზე; შენც აგრეთვე მოითბინე; მოარიდე თვალი და ყური ყოველივეს, რაც შენ არ შეგეხება, და მაშინ შენ იცხოვრებ მოსვენებით, თუ მეორეს მხრით თავს არ შეიწუხებ იმით, თუ რას ფიქრობენ და ან რას ლაპარაკობენ სხვები შენზე.

## II.

იზრუნე კეთილი სახელის მოპოებისათვის, ვინაიდან კეთილი სახელი უძვირფასესია ათას გვარ ღიდ ქონებაზე, ამბობს ბრძენი ძე ზირაქისა (41, 15). ამიტომ იმეცადინე მოიპოვო კეთილი სახელი შენი წოდების მოვალეობათა მტკიცე აღსრულებით, რომელშიაც შენ ჩაგაყენა ღვთის განგებულებამ, და წყნარი ყოფაქცევით, არა იმიტომ, რომ მოიპოვო პატივის ცემა კაცთაგან, არამედ იმიტომ, რომ ასიამოვნო ღმერთს, მისცე კეთილი მაგალითი მოყვას, გაავრცელო სწავლა იესო ქრისტესი, რომლის მოწაფე და წევრი ხარ შენ, გაავრცელო მისი წმიდა სახელი და შენი სახელიც კეთილ მოსაგონებელი იქნეს კაცთა შორის. ამის შემდეგ ნუ ზრუნავ მასზე, თუ შენზე რას ფიქრობენ და ან რას ლაპარაკობენ.

უდიდესი მტერი ჩვენი მშვიდობიანობისა არის ჩვენი მედიღურობა და ჩვენი თავ-მოყვარება. ეს სულელური თავის სიყვარული არის უმთავრესი წყარო ყოველივე ჩვენი მოუსვენარობისა. ჩვენ ვემზგავსებით იმ დედებს, რომელნიც ეფერებიან თავიანთ შვილებს, სურთ, რომ მათ შვილებზე სხვებიც ისეთივე კარგი შეხედულებისა და აზრისანი იყვნენ, როგორც თვითონ არიან; აბა ერთი ვინმე შეეხოს მათ; მაშინ ნახეთ, რა მოხდეს. ასევე ვიქცევით ჩვენ ჩვენი თავის შესახებაც. ჩვენ გვსურს, რომ მთელმა ქვეყანამ ჩვენზე კარგი ილაპარაკოს, რომ ყოველი

კაცი ჩვენ გვაქებდეს და გვადიდებდეს, ჩვენ მეტისმეტად სათუთნი და მგრძობიარე ვართ; მცირე ქებაც კი ესიამოვნება ჩვენს გულს; ერთი უბრალო ცუდი სიტყვა გვაბრაზებს. უბრალო შეურაცხებას მოთბინებიდან გამოვყავართ. თუ ჩვენ ასეთი სიყვარულობით მოვექცით ჩვენს თავს, ვერასოდეს სულიერ მშვიდობას ვერ მოვიპოვებთ.

რაც უნდა სრული იყო შენ, შენში მაინც კიდევ დარჩება რაიმე ნაკლულევანება, რაიმე სისუსტე, მიტომ რომ მხოლოდ ერთი ღმერთია სრული. ყოველთვის გამოჩნდებიან ისეთი კაცები, რომელნიც შენიშნავენ შენს ნაკლულევანებათა და გამოაქვეყნებენ მათ; რაც უნდა კარგად მოიქცე, საზოგადოებაში მაინც გამოჩნდებიან ისეთები, რომელთაც შენ არ მოეწონები. ისინი მონახვენ შენში სასაცილო მხარეებს, რომელნიც შენში სრულებით არ მოიპოვება; ისეთ რამეებს მოგაწერენ, რომელიც შენ ფიქრადაც კი არ მოგსვლია. რაც უნდა კარგად მოიქცე და რაც უნდა კარგი ილაპარაკო, ვერას დროს ვერ ასიამოვნებ მთელს ქვეყანას, და თუ შენ დიდის ყურადღებით ადევნებ თვალ-ყურს მას, თუ რას ფიქრობენ და ან რას ლაპარაკობენ შენზე, ვერას დროს ვერ მოისვენებ.

ერთი მითხარი, რა გემატება შენ, როცა შენზე სხვები ლაპარაკობენ კარგს ანუ ცუდს? ამით შენ ან რა გემატება და ან რა გაკლდება? შენ ისევე ის დარჩები, რაც იყავ ღვთის წინაშე; იმან უწყის შენი გულის პასუხი, იგი იქნება შენი მსაჯული, ხალხი რომ ისე გიცნობდეს შენ, როგორც ღმერთი, მაშინ ზოგი უფრო ნაკლებად იტყოდა შენზე კარგს, და ზოგი უფრო ბევრ ცუდს. მოწყალეო იესო! რანი ვართ ჩვენ, და ან რა გვაქვს ჩვენ თავად! სიბოროტე, გარყვნილება, სიცრუე, და ცოდვა. ძმანო ჩემნო, ქება ანუ ლანძღვა არის მცირე ქარი, ანუ სუსტი ხმაურობა; ამავით არც ერთი თმა არ ჩამოვარდება ჩვენი თავიდან და არც სიმაღლე მოემატება ჩვენს ტანს. კარგად მოიქეცით და ნება მიეცით სხვებს ილაპარაკონ: ეს არის ერთად ერთი საშუალება, რომ მოსვენებით იქნეთ და გაქვდეთ მშვიდობა.

«რამეთუ მოჰკვდით», იტყვის წმიდა პავლე მოციქული, და «ცხოვრება თქვენი დაფარულ არს ქრისტეთურთ ღმრთისა თანა» (კოლას. შ, შ). მშვენიერი სიტყვაა! შეხედეთ მიცვალებულ კაცს: გინდაქეთ იგი, გინდა ლანძღეთ, გინდა მიეფარისეველეთ,

რაც გინდ აგინეთ იგი, ის არც გაწითლდება და გაყვითლდება, არც გაინძრება. ჭეშმარიტი ქრისტიანე არის მკვლარი კაცი, ე. ი. ის ყურადღებას არ აქცევს კაცთა სიტყვას და მსჯელობას, თითქო მკვლარი იყოს იგი. მოწყალეო მაცხოვარო ჩემო! რამდენათ შორს ვართ ჩვენ ქრისტიანულ სისრულისაგან. მოსპე ჩვენში თავ-მოყვარება, რომელიც ჩვენ გვლუპავს; შენი მოწყალებით დააცხვრე ჩვენი გულ-მოსულობა; ვინაიდან ვუწყით, რომ როცა შევიქნებით შენებ წყნარი, მხოლოდ მაშინ მოვიპოვებთ მოსვენებას და სულიერ მშვიდობას. აი ასე, ძმანო ჩემნო საყვარელნო, ჩვენ მოვიპოვებთ მშვიდობას, როცა განვეშორებით ყოველივე მას, რაც ჩვენ გარს გვარტყია.

აღკრძალული არ არის შევიკრიბოთ სიმდიდრე, მხოლოდ ჩვენ უსამართლოება არავის უნდა უყოს; ცოდვა არ არის, ვისარგებლოთ მით, რაც ღმერთმა მოგვცა ჩვენ, მხოლოდ ესეები ბოროტად არ უნდა მოვიხმაროთ; მაგრამ თუმცა თქვენი გული და გონება მუდამ ამ სიმდიდრეზე იფიქრებს, მაშინ ეს უბედური გული არას ღროს არ იქნება მოსვენებული; მაშინ მუდამ იმაზე იზრუნავთ, რომ მოიპოვოთ ანუ კიდევ უფრო ბევრი შეიძინოთ სიმდიდრე, რომელიც თქვენ შეიყვარეთ და მუდამ კანკალებთ, რომ ეს სიმდიდრე ხელიდან არ გამოგეცალოთ; თქვენ თავზარი გეცემათ და სასოწარკვეთილებაში ვარდებით, თუ ვინცობაა ღვთის განგებულებამ მოგაკლოთ თქვენ ეს სიმდიდრე, და განა ამაებს ჩვენ ყოველ დღე ვერ ვხედავთ?

ესევე შეიძლება ითქვას, როცა ჩვენ მეტის-მეტად ვუახლოვდებით ჩვენს მეგობრებს და ნათესავებს, როცა ეს ჩვენი დაახლოება ღვთის სასიამოვნო არ არის; ჩვენ მზად ვართ მათთვის თავი გამოვიდვათ, ვერვით მათ საქმეებში; რამდენი ცოდვა წამოდგება მეგობრობისაგან! როცა მეგობრებს ვკარგავთ, უნუ-გეშო მდგომარეობაში ვარდებით. შვილნო ჩემნო საყვარელნო, გვიყვარდეს ყველანი მარტო იესო ქრისტესათვის, მას მხოლოდ შეუერთდეთ; ვისარგებლოთ ამ ქვეყნის სიკეთით და ყოველთვის მზათ ვიქნეთ მსხვერპლათ შევსწიროთ ღმერთს ჩვენი ქონება, ჩვენი ტანმრთელობა, ჩვენი მეგობრები, ჩვენი ოჯახი და, თუ მისთვის სასიამოვნო იქნება, ისე გამოვთხოვოთ ყოველივე ამაებს, თითქო ჩვენთვის გაეხადათ ტანთ-საცმელი და არა ისე, თითქო ჩვენ

ვინმე ტყავს გვაძრობდეს. მაშინ მხოლოდ დიდ უბედურებათა შინაც ვიტყვიტ წმ. იობთან ერთად: უფალმა მომცა, უფალმა წაიღო, იყოს სახელი მისი კურთხეულ (1, 21)“. მაშინ, რაც უნდა შეგვემთხვეს, ჩვენ არ დავკარგავთ მშვიდობიანობას და სულიერ სიმშვიდეს, თუ კი სინდისი წმიდა გვექნება.

### III.

მხოლოდ ერთად-ერთ სინდის შეუძლია დაარღვიოს ჩვენი მშვიდობა, როცა იგი (სინდისი) შებლალულია ცოდვებით. როგორც გულის სიმშვიდე არის თანამოგზაური ღვთის მადლისა, რომელიც ჩვენ წმიდა-გვეყვას და გვაერთებს იესო ქრისტესთან; აგრეთვე შეშფოთება და სინდისის წერტა იწყება ცოდვის ჩადენის შემდეგ, რომელიც გვაშორებს ჩვენ ღვთის მადლს და იესო ქრისტეს. შვილო ჩემო! ვიდრემდის შენ იქნები მონა ცოდვისა, მანობამდე რაც უნდა მოიქმედო, მაინც არ გექნება გული და სინდისი მოსვენებული. შენ შეგიძლია გაერთო და ხან-და-ხან სრულებით დაივიწყო ის უბედური მდგომარეობა, რომელშიაც შენ ხარ, მაგრამ ვერას ღროს ვერ დაახუმებ სინდისის მხილებას; ის მაინც არ მოგასვენებს შენ. ვთქვათ, შენ მოსვენებით იძინებ. მაგრამ რომ გადაიცივალო ამ ძილის ღროს? შენ ემზადები სამგზავროდ; მაგრამ გზაზე რომ დაიღუბო? ან მეხი დაგეცეს და ან მდინარეში სადმე დაიღუბო? შენ იცი, შენ გრძნობ, თუ როგორ გაწუხებს შენ სინდისი, როცა ეკკლესიაში შედიხარ. გული გიცემს, ყვითლდები, განსაკუთრებით მაშინ, როცა მწყემსი გამოდის საქადაგებლად. რამდენათაც მეტად შეწუხდები და დაუკვირდები შენს თავს, იმდენად უფრო ჩავარდები გონში და აცილდები ცოდვებს და მოიპოვებ მშვიდობას. ამაზე შენც დამეთანხმები, რომ ეს ასეა.

